დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის N16 დადგენილებით (www.matsne.gov.ge 26/12/2023, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.114.016506) დამტკიცებულ წესში და წესს დაემატოს მე-13[I] მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,13[I]. ონკოდაავადებულთა სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება.

1. ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე პირები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სამედიცინო და მედიკამენტოზურ მკურნალობას.

2. თითოეული ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების შესაძენი ჯამური ხარჯი განისაზღვროს წელიწადში 1000 (ათასი) ლარით. მედიკამენტების შესაძენი ხარჯის დაფინანსება განხორციელდეს ყოველ 3 თვეში ერთხელ არაუმეტეს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარით.

3. მომსახურების მისაღებად განმცხადებელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ცნობა სამედიცინო დაწესებულიდან (ფორმაN IV-100);

დ) შესაბამისი სამედიცინო/სააფთიაქო დაწესებულებიდან ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი)“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.